



## საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის კვლევითი პროფილი

### ← ფაკულტეტის პროფილის დოკუმენტის მიზანი

დოკუმენტი განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევის მიმართულებებს და არჩევს რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

კვლევითი პროფილის დოკუმენტის მიზანია შეფასდეს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, დასახოს სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

### ← გამოყენების სფერო

დოკუმენტი გამოიყენება საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში, გამიზნულია სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებისკენ.

### ← მოკლე სიტუაციური აღწერა

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე სრულდება სამეცნიერო კვლევები რეგიონში განვითარებული დარგების აქტუალურ პრობლემებზე ლოგისტიკისა და საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის მიმართულებით. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ პერიოდულად ხდება ნაშრომების გამოქვეყნება ეროვნულ სამეცნიერო ჟურნალებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და საერთაშორისო მასშტაბით ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში.

## ← სიტუაციური ანალიზი (SWOT)

### ძლიერი მხარეები

- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში წარმატებული აკადემიური პერსონალი;
- ფაკულტეტის მიმართულებების პრიორიტეტულობა რეგიონისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის;
- ურთიერთ თანამშრომლობა ეროვნულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან.

### სუსტი მხარეები

- ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის არასაკმარისი დონე;
- კვლევის პროცესში სტუდენტების პასიური ინტეგრაცია;
- შედასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსების ორგანიზების დაფინანსების წყაროების შეზღუდულობა;

### შესაძლებლობები

- აკადემიური პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გააქტიურება და შიდა საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ორგანიზება;
- კვლევებისათვის დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება;
- ფოთის როგორც სანავსადგურო ქალაქის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსული პოტენციალის გამოყენება კვლევის მიზნებისათვის;
- კვლევის პროცესში სტუდენტების ინტეგრაციის გააქტიურება სამაგისტრო პროგრამის შემუშავების და დანერგვის საფუძველზე.

### საფრთხეები

- წარდგენილი საგრანტო პროექტების დაუფინანსებლობა;
- ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვის პრობლემა.

## ← არსებული და პოტენციური პარტნიორები

ერთობლივი კვლევები ხორციელდება უნივერსიტეტის სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, შპს. „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალის და სს ფოთის ნავსადგურის სპეციალისტების მონაწილეობით.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კერძოდ ფოთის რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით დამყარდა პარტნიორული კავშირი კომპანიასთან - შპს „სანაპიროს მართვის ჯგუფი“.

მომავალში ფაკულტეტი კვლევით საქმიანობას განახორციელებს ეროვნული და საერთაშორისო უნივერსიტეტების ჩართულობით, კერძოდ, გააქტიურდება თანამშრომლობა რიზეს რეჯიფ ტაიპ ერდოგანის უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტთან.

← ადამიანური რესურსები

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას ახორციელებს: 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი.

№	სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა
1	ბრეგვაძე ამირანი	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება
2	სალინაძე ივანე	პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება
3	გოგაძე ვაჟა	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება
4	ფხაკაძე მანანა	ასოც.პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება
5	ხარბედია ლალი	ასოც.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება
6	ბჟალავა მზისადარი	ასისტ.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება
7	დავითაია ბადრი	ასისტ.პროფესორი.ბიზნესის მართვის მიმართულება
8	არქანია ზურაბი	ასოც.პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება
9	ჭანტურია თენგიზი	ასისტ.პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება

← კვლევითი მიმართულებები და პროექტები :

კვლევითი ერთეული	კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები
საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი	შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი გავლენის კვლევა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე

ფაკულტეტზე განხორციელებული კვლევითი პროექტის რეზიუმე, პროექტის შედეგი და ეფექტი:

აკადემიური პერსონალის მიერ ყოველწლიურად მუშავდება და საკონკურსოდ იგზავნება ერთი ან ორი საგრანტო პროექტი.

2012 წლიდან ფაკულტეტზე შესრულებულია სამეცნიერო საგრანტო პროექტები:

დასახელება	წლები	დაფინანსების წყარო	დაფინანსება
გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში და მათი გაანგარიშების ჰიდროდინამიკური მეთოდები	2015-2017	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №AR/22/3-109/14	180000 ლარი
ფოთის პორტის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, ნატანის მიგრაციისა და ჰიდროდინამიკური მახასიათებლების მონიტორინგი	2012-2015	ევროგრანტი N5282	20 000 ლარი
ჰიდროსაინჟინრო და გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქ. ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში	2012-2014.	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრ. 10-15.	198686 ლარი

საგრანტო ნაშრომში „გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში და მათი გაანგარიშების ჰიდროდინამიკური მეთოდები“ განხილულია მდინარეების ენგურისა და რიონის შესართავ აკვატორიებში არსებული გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემები და შემუშავებულია წინადადებები რეკომენდაციები ამ პრობლემების გადასაჭრელად. კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა:

1. ქალაქ ფოთის პორტის შესასვლელი არხი, რომელიც 1939 წელს მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების შედეგად ინტენსიურად ისილება კუნძულ ნაბადას მხრიდან;
2. ქალაქ ფოთის საზღვაო ნაპირი, რომელიც ასეულობით მეტრითაა დახეული უკან;
3. მდ. რიონის წყალგამყოფი კაშხალი, რომლის ქვედა ბიეფი დროთა განმავლობაში დაექვემდებარა ნგრევასა და მნიშვნელოვან გამორეცხვებს;
4. „საქალაქო არხი“ – მდ. რიონის ძველი კალაპოტი, რომელიც მნიშვნელოვნად არის მოსილული;
5. მდ. ენგურის შესართავთან მშენებარე ქალაქ ანაკლიის წარეცხილი პლაჟი.

პროექტით ჩატარებული კვლევების შედეგად დასაბუთებულია, რომ ქ.ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მიზნით საჭიროა ქალაქის არხში მდინარის ხარჯების გათვლილი რეგულირება, განსაკუთრებით ზღვაზე შტორმული ვითარების გამძაფრების პერიოდში, რადგან ამ პერიოდში რიონის მიერ ზღვაში შემოტანილი ნატანი ფაქტობრივად არ ხმარდება სანაპირო ზოლის გაზრდას. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ წყალდიდობის დროს, როცა ზღვაზე ძლიერი შტორმია, ნაპირის ეროზიისაგან დაცვისათვის ქალაქის არხში მაქსიმალური წყლის ხარჯის გაშვება არაეფექტურია. ამ შემთხვევაში ტალღებს მდინარის ნატანი გადააქვთ ზღვის ისეთ დიდ სიღრმეებში (20 მ-მდე), რომ ნატანი ფუჭად იკარგება და არ ხმარდება სანაპირო ზოლის გაზრდას.

შემუშავებულია ზღვის ნაპირდაცვითი ღონისძიებების კონცეპტუალური პროექტი, რომელშიც გამოყენებულია კუნძულ ნაბადასთან მდ. რიონის ჩრდილოეთი განტოტებიდან ფსკერული ნატანის სამხრეთ განტოტებაში გადასროლის იდეა, გადასროლილი ნატანის ქ.ფოთის სანაპირო ზოლში შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით. ნატანის ტრანსპორტირებისათვის შეიძლება

გამოყენებული იქნეს მდინარე რიონის დინების ენერჯია მისი გაწმენდის შემდეგ ან ლენტური კონვეიერი. განსაზღვრულია ფსკერული ნატანის ამომღები ჰიდროტექნიკური დანადგარის კონსტრუქციული და მუშა რეჟიმების პარამეტრები. დასაბუთებულია ნაპირდაცვითი ღონისძიებების ტექნიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. აღნიშნულ პროექტს ეკონომიკური მაჩვენებლებისა და საიმედოობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია ფოთის რეგიონისათვის ადრე შემოთავაზებულ ნაპირდამცავ ღონისძიებებთან შედარებით.

შემუშავებულია ზღვის სანაპირო არეებში ტალღურ მოძრაობათა, ნატანის ნაპირგასწვრივი მიგრაციისა და სანაპირო ზოლის დეფორმაციების სამგანზომილებიანი ჰიდროდინამიკური მოდელები და ამოხსნილია თანამედროვე რიცხვითი მეთოდების, კერძოდ, სასრული ელემენტების, კრანკ-ნიკოლსონის სქემისა და ზედა რელაქსაციის მეთოდების გამოყენებით, ხოლო შესართავ უბნებში მდინარის ნაკადისა და ზღვის ტალღების ურთიერთქმედების საანგარიშოდ გამოყენებულია მათემატიკური ანალიზის პირდაპირი და ასიმპტოტური (კერძოდ, WKB) მეთოდები. ამ მოდელების გამოყენებით მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო საკვლევ ობიექტებზე ისეთ საინჟინრო ღონისძიებათა და საპროექტო წინადადებების შემუშავებას, რომლებიც:

- ა) ფოთის პორტის ექსტენსიური განვითარების შესაძლო ვარიანტების მხედველობაში მიღებით უზრუნველყოფენ პორტში შესასვლელი არხის სტაბილურ დაცვას მოსილვებისგან;
- ბ) უზრუნველყოფენ ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის სტაბილურ ზრდას მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის საექსპლუატაციო რეჟიმების შემუშავების საფუძველზე და „ქალაქის არხში“ დამატებით საინჟინრო ღონისძიებათა გატარების შედეგად;
- გ) კაპიტალურად დაიცავენ მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის კაშხლის ქვედა ბიეფს ნგრევებისა და გამორეცხვებისაგან;
- დ) მდ. ენგურის შესართავი უბნის ჰიდროლოგიური რეჟიმებისა და კანიონის ფაქტორის არსებობის გათვალისწინებით უზრუნველყოფენ ანაკლიის სანაპირო ზოლის აღდგენასა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ინფორმაცია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შესახებ კვლევითი პროფილის მიმართულებით იხ.დანართში.

## ← მატერიალური რესურსები

კვლევით მიმართულებისათვის მონაცემთა დასამუშავებლად საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები არსებობს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე. კვლევების პროცესში გამოიყენება ასევე პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

## ← განვითარების მიზნები

ფაკულტეტის განვითარებისათვის პრიორიტეტულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება, რისთვისაც გადამწყვეტ წინაპირობად განვიხილავთ:

- ფაკულტეტზე კვლევითი გარემოს შექმნის მიზნით სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას და ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადებას;

- ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი სახსრების მობილიზებას, რასაც ხელს შეუწყობს ყოველწლიურად რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე პროექტების წარდგენა;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავებას;  
შესაბამისად, განხორციელებული კვლევების და რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ნავსადგურების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი გავლენის კვლევა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

## ← ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

კვლევებით მიღებულ შედეგებს ექნებათ ზოგადი ხასიათი და ამდენად, შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება როგორც საქართველოს სანაპირო ზოლში, ასევე ზოგადად შავი ზღვის დაბალწყლიანი რეგიონების სანაპირო ზოლის კვლევებისათვის. გააქტიურდება თანამშრომლობა თურქეთის შესაბამისი დარგის მეცნიერებთან და განხორციელდება ერთობლივ კვლევებში აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებით. ასევე იგეგმება კვლევებისათვის დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მაქსიმალურ ჩართვას კვლევითი საპროექტო წინადადების მომზადებასა და წარდგენაში.

## დანართი

### სამეცნიერო ჟურნალებში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კვლევითი პროფილის მიმართულებით გამოქვეყნებული შრომები:

1. ნავთობის დაღვრის რისკების მართვა ფოთის ნავსადგურის შემოსასვლელ არხში. ბრეგვაძე ა., არქანია.ზ., ხარბედია ლ., თოფურია დ. V ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ სამეცნიერო შრომები. 2019, გვ.24-29;
2. კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობა ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ლ. ხარბედია. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. 2019. გვ.276-277; ISBN 978-9941-13-352-7, <http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=&cat=pers&leng=ge&adgi=871&title>
3. ლოგისტიკური მიდგომების გამოყენება ახალი სატვირთო ტერმინალების მდებარეობის განსაზღვრისათვის შავი ზღვის ფოთის აკვატორიაში გოგიაშვილი ფ., ბრეგვაძე ა., ჩხარტიშვილი ზ. V ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ სამეცნიერო შრომები. 2019, გვ.35-42;
4. THE METHODOLOGICAL FOUNDATIONS FOR CREATING THE SMALL-CAPACITY PORTS ON THE BLACK SEA COAST OF GEORGIA, Dr. Sharabidze I., Prof. Dr. Kochadze T., Assoc. Prof. Dr.Gogadze V., Doctoral candidate Bolkadze K., „TRANS MOTAUTO WORLD“, 2019, 28-29 p.;
5. შავი ზღვის ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლში შტორმების დროს ტალღების გავრცელებისას წყლის საშუალო დონის ცვლილების გაანგარიშება. ი. სალინაძე, ზ. გამეზარდაშვილი. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ISSN 1512-0287, 2018(85), ტ. 1, გვ.63-67;
6. შავი ზღვის ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის მონაკვეთის ეროზიისაგან დაცვა წყალქვეშა გეოტუბების გამოყენებით. ი.სალინაძე, ა.ბრეგვაძე, ზ.გამეზარდაშვილი. აწსუ „მოამბე“, 2017(2), ტ.10., გვ.196-203;
7. გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გეოპოლიტიკური მიდგომები. ხარბედია ლალი. II საერთაშორისო კონფერენციის „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“ მასალები, ქუთაისი, 29-30 სექტემბერი. 2017 (2), გვ. 1-7. EISSN 2346-8203, <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/KharbediaLali.pdf> ;
8. ნავსადგურების ფუნქციები და მისი გავლენა რეგიონის ეკონომიკურ აქტივობაზე; ჟურნალი „ეკონომიკა“ #3-4, 2016 წ. გვ. 154-161; ავტორები: ლ. ხარბედია , მ. ბჟალავა;
9. მარკეტინგის ტრადიციული კომპლექსის ადაპტირება სანაოსნო კომპანიის საქმიანობასთან; ჟურნალი „ეკონომიკა“ #5-6, 2016 წ. გვ. 144-152; ასოც. პროფ. ლ.ხარბედია
10. მარკეტინგის როლი სანავსადგურო მომსახურების სფეროში. ჟურნალი "ეკონომიკა", ISSN 0206-2828, №1-2, 2014წ. გვ.170-178 ასოც. პროფ. ლ. ხარბედია;
11. ფასწარმოქმნის მექანიზმი და სტრატეგია სანავსადგურო მომსახურებაში ჟურნალი „ეკონომიკა“ #6, 2017 წ. გვ. 141-147; ავტორები: ლ. ხარბედია , მ. ბჟალავა;
12. სამდინარო ჰიდრომშენებლობა და საქართველოს შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური პროცესები.გაგომიძე შ., კოდუა მ., სალინაძე ი., ქადარია ი., მონოგრაფია. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2017
13. ფოთის პორტის შემოსასვლელი არხის მიმდებარე ტერიტორიის ლითოდიამიკის რიცხვითი მოდელირება.სალინაძე ი.ს., ბრეგვაძე ა. ვ., გაგომიძე შ. ნ. ISSN 1512-0287. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. N2, 2016. გვ. 53 – 58. <http://www.tech.caucasus.net/gen/sum71.htm>;

14. შავი ზღვის ფოთისა და ანაკლიის სანაპირო ზოლში, წყალქვეშა კანიონის მიდამოებში ნაპირზე ტალღების გაქანების გაანგარიშება. ი.საღინაძე. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ISSN 1512-0287, 2016(80), ტ. 4, გვ.67-72;
15. ფოთისა და ანაკლიის საზღვაო პორტებში დახრილი დამცავი ნაგებობების გაანგარიშება. ი.საღინაძე. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ISSN 1512-0287, 2016(80), ტ. 4, გვ.62-67;
16. Сагинадзе И. С., Пхакадзе М. Д. Расчет волновых движений Черного моря в районах Поти и Анаклия. ISSN 1512-0287. GEN. N1, 2016. P. 84-88. <http://www.tech.caucasus.net/gen/sum70.htm>;
17. SH.Gagoshidze, M.Lordkipanidz, E.Khatiashvili and I. Saghinadze. The main results of compilation of basic data of seawater pollution, geomorphological and hydroengineering problems in the port and adjacent regions of black sea coast of Georgia. Energyonline №1(9), 2015. <http://www.energyonline.ge/energyonline/issue 9/Nature protection eng 2.pdf>
18. Сагинадзе И. С. Пхакадзе М. Воздействие качки судов на людей и груз. ISSN 1512-0287. „Georgian Engineering News“, №1, 2014. <http://www.tech.caucasus.net/gen/sum62.htm>
19. Сагинадзе И., Гагошидзе Ш., Кадария Ю. Устройство для поднятия донных наносов: определение основных конструктивных и режимных параметров. ISSN 1512-0287. „Georgian Engineering News“, №2, 2014.

**კვლევითი პროფილის მიმართულებით ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე/ფორუმზე წარდგენილი მოხსენებები/პრეზენტაციები (ბოლო 5 წლის განმავლობაში):**

1. 2019. საქართველო, თელავი, 26-28 ოქტომბერი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. ადვექცია-დიფუზიის განტოლების რიცხვითი მეთოდების ამოხსნის შესახებ. ა.ბრეგვაძე;
2. 2019. საქართველო, თელავი, 26-28 ოქტომბერი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. შავი ზღვის ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლში შტორმული ტალღების გავრცელების დროს წყლის საშუალო დონის ცვლილების გაანგარიშება. ი.საღინაძე;
3. 2019. საქართველო, ქუთაისი, V ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“, ლოგისტიკური მიდგომების გამოყენება ახალი სატვირთო ტერმინალების მდებარეობის განსაზღვრისათვის შავი ზღვის ფოთის აკვატორიაში. გოგიაშვილი ფ., ბრეგვაძე ა., ჩხარტიშვილი ზ.;
4. 2019. საქართველო, ქუთაისი, V ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“, ნავთობის დაღვრის რისკების მართვა ფოთის ნავსადგურის შემოსასვლელ არხში. ბრეგვაძე ა., არქანია.ზ., ხარბედია ლ., თოფურია დ.;
5. 2018. Caen, France, August 20-23, Sixth International Conference on Estuaries and Coasts (ICEC-2018), Numerical Computation of Wave Motions in Poti Coastal Zone of Black Sea. I.Saghinadze, M.Kodua, M.Pkhakadze.
6. 2018. ქუთაისი 11-13 ოქტომბერი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის IX ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. შავი ზღვის ქალაქ ფოთის სანაპირო ხაზის ცვლილების გაანგარიშება წყალქვეშა გეოტუბების განთავსების შემდეგ. ი.საღინაძე;
7. 2018. ქუთაისი 11-13 ოქტომბერი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის IX ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური პრობლემები ქალაქ ფოთის შავი ზღვისპირა რეგიონში და მათი აღმოფხვრის გზები. ი.საღინაძე, მ.ფხაკაძე;



8. 2018, ქუთაისი, 12-13 ოქტომბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უწყვეტ გარემოთა მექანიკის მონათესავე პრობლემები. დამაბინძურებლების ტრანსპორტირების რიცხვითი მოდელი დაფუძნებული ორგანოზომილებიან ადვექცია-დიფუზიის განტილებაზე;
9. 2018, ქუთაისი, 12-13 ოქტომბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უწყვეტ გარემოთა მექანიკის მონათესავე პრობლემები. არაწრფივი ადვექცია-დიფუზიის განტოლების რიცხვითი ამოხსნის შესახებ. ა.ბრეგვაძე, თ.ჭანტურია.
10. 2016, 17-22 april, Vienna, Austria, European Geosciences Union General Assembly 2016. Hydro-engineering and environmental problems in Poti Black Sea region and ways of their solution, I.Saghinadze, M.Pkhakadze, Sh.Gagoshidze, M.Kodua [http://presentations.copernicus.org/EGU2016-1745\\_presentation.pdf](http://presentations.copernicus.org/EGU2016-1745_presentation.pdf)
11. 2016, 17-22 april, Vienna, Austria, European Geosciences Union General Assembly 2016, The numerical calculation of hydrological processes in the coastal zone of the Black Sea region in the city of Poti. I.Saghinadze & M.Pkhakadze. <http://meetingorganizer.copernicus.org/EGU2016/EGU2016-2138.pdf>
12. 2015, 16-19 ივლისი, თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სტუ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის ეკოცენტრი, მე-5 საერთ. კონფ. „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენ. თანამედრ. პრობლემები, შავი ზღვის ფოთის რეგიონის ქარებისა და ტალღური რეჟიმების ძირითადი მონაცემები(რუს. ენაზე). სადინაძე ი., ქადარია ი., კოდუა მ. [http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/105346/2/SamecnieroShromataKrebuli\\_2015.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/105346/2/SamecnieroShromataKrebuli_2015.pdf)
13. 2015, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია. ა. ბრეგვაძე, ი. სადინაძე. ზღვის სანაპირო ზოლის რიცხვითი მოდელირება და მისი საინჟინრო ასპექტები. <http://www.viam.science.tsu.ge/others/gnctam/GeoMech6/prg.pdf>
14. 2015, 10-11 ივლისი, ქუთაისი, VII საერთაშორისო სამეცნიერო –პრაქტიკული კონფერენცია "ინტერნეტი და საზოგადოება", ყურეში მიმდინარე ტალღური პროცესების რიცხვითი მოდელირება, ა. ბრეგვაძე, თ. ჭანტურია; გვ.127-130, <http://inso.ge/inso2015/wp-content/uploads/krebuli-2015.pdf>
15. 2015 KUTAISI, GEORGIA 10-11 July, VII INTERNATIONAL SCIENTIFIC and PRACTICAL CONFERENCE "INTERNET and SOCIETY"- ყურეში მიმდინარე ტალღური პროცესების რიცხვითი მოდელირება, ამირან ბრეგვაძე, თ. ჭანტურია;
16. 2015. თბილისი. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი. „ღეროების და შლანგების ანგარიში“. ზ.არქანია.
17. 2014. 26 мая, Москва. Международная научно-практическая конференция «Инновации: перспективы, проблемы, достижения». Российский экономический университет им. Г.В. Сохранность грузов при транспортировке. Пхакадзе М. Д., Сагинадзе И.С.
18. 2014, 8-10 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია. „ზღვის სანაპირო ზოლის დინამიკის რიცხვითი მოდელირება და მისი საინჟინრო ასპექტები“. ა. ბრეგვაძე, ლ. სიჭინავა, თ. ჭანტურია.
19. 2014, თბილისი, ადგილობრივი საინოვაციო გამოცდილება საქართველოში. ჟან მონეს პროგრამის პროექტი -ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებისთვის. პლაჟის წარმოქმნის და სანაპირო დაცვის საინჟინრო ასპექტები. ა. ბრეგვაძე.
20. ა.ბრეგვაძე;დ.ბაბილუა;ფ.გოგიაშვილი;გ.ლევკვიშვილი -ნაპირდამცავი დამბა -სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი <http://www.sakpatenti.org.ge/> 24(388) 25.12.2013 გვ.6.